ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ბადიაურის ქუჩა №2 ჩანაცვლების პროექტისათვის



თბილისი
2024 თებერვალი

საკვლევი ობიექტი ბადიაურის ქუჩის №2-ში მდებარეობს. დღეს ეს ტერიტორია თბილისის ისტორიული ნაწილის რეგულირების ზონაში – ძველი თბილისის გამგეობის შემადგენლობაშია, ხოლო ისტორიულად ავლაბარს ეკუთვნის.



ამჟამად, ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად იგი ისნის (მეტეხის) ციხე-სიმაგრეს მიკედლებულ უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც XVIII საუკუნის II ნახევარში, ერეკლე II-ის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. ვარაუდობენ, რომ სახელწოდება„ავლაბარი" XIV საუკუნიდან გავრცელდა (პირველი წერილობითი საბუთი სადაც მას მოიხსენიებენ 1392 წლით თარიღდება). სიტყვა „ჰავალი" არაბულად მიდამოა, ხოლო „ბარე" ზღუდეს, გალავანს ნიშნავს. მაშასადამე „ავლაბარი" გალავნის იქითა მიდამოს, გარეუბანს გულისხმობდა.



1913 წ. თბილისის გეგმა

პლატონ იოსელიანის ცნობით, ავლაბარში XV ს-ში სასახლეები ჰქონიათ სამეგრელოსა და გურიის მთავრებს. ასევე, თბილისის 1785 წლის გეგმაზე აქ გიორგი ბატონიშვილის სახლია აღნიშნული. 1784 წელს ისნის ძველი ციხის გალავანზე აღიმართა დარეჯან დედოფლის სასახლე – „საჩინო".

ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. განვითარებული იყო ხელოსნობა. აქ ქართველებთან ერთად სომხები, სპარსელები, ბერძნები ცხოვრობდნენ.

XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი თითქმის დაცარიელდა, რადგან ლეკები თბილისს უმეტესად ამ მხრიდან ესხმოდნენ, ხოლო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს (1795 წ.) ავლაბარი თითქმის მთლიანად განადგურდა.

1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა გვიანფეოდალური პერიოდის დაგეგმარების დადგენის საშუალებას იძლევა, რადგან მასზე განსხვავებული ფერითაა გამოყოფილი ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების დროს განადგურდა. შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩათა ქსელისგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა.

ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის სწვრივის პარალელურად გადიოდა, ხოლო მთავარი ქუჩა (დღევანდელი მეტეხის) მათ ორდავ ირიბად ჰკვეთდა. ეს ქუჩა იწყებოდა კარიბჭესთან, (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან გზების შესაყარზე) და განივად ჰკვეთდა უბანს. გარეთავლაბარი კი ქუჩების ქაოტურ ხლართს წარმოადგენდა.



მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანმა ბევრი ცვლილება განიცადა, დღემდეა შემორჩენილი გვიანფეოდალური ქალაქის ქუჩათა ქსელი და ძველი განაშენიანების კვალი – ისტორიული ციხესიმაგრის ნაშთები, გვიანფეოდალური პერიოდის დამცავი კედლები, დარეჯანისეული სასახლე, XIX-XX სს-ის საცხოვრებელი სახლები, ძველი სარდაფები და სხვა. მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია განაშენიანების მასშტაბი და თავისებურებები. ქალაქის ამ ნაწილის ძირითად მხატვრულ-არქიტექტურულ სახეს მეტეხის აღმართის, მეტეხის კლდის, მეტეხის ქუჩისა და ჯორბენაძის ქუჩათა განაშენიანება განსაზღვრავს.

ავლაბარზე იშლება ვრცელი პანორამა თბილისის სხვადასხვა კუთხიდან. მის ურბანულ სახეს დღეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამების კათედრალური ტაძრის დომინანტი, რომელიც მთელი გარემოს განაშენიანების წამყვან ორიენტირად იქცა.



ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია უბნისა და მისი განაშენიანების პრინციპების შენარჩუნება და დაცვა.

ბადიაურის ქუჩა ქეთევან წამებულის გამზირის შუაწელზე არსებული განაშენიანების პარალელურად ვითარდება ქურხულისა და დედოფლისწყაროს ქუჩების მიმდებარედ. ქუჩის განაშენიანება არაერთგვაროვანია, გამზირისკენ დაღმავალი ნაწილი უკვე შედარებით მსხვილი, ხუთი-ექვსსართულიანი თანამედროვე კორპუსებით არის განაშენიანებული, ხოლო ზედა მხარე, რომელიც უბნის სიღრმეში ვითარდება, ჯერ კიდევ ორ-სამსართულიანია.





გამონაკლისია ბადიაურის ქუჩა №25, ისტორიული შენობა თბილისური ეზოთი და უცნაური კონფიგურაციით, რომელიც პრაქტიკულად ოთხსართულიანია, რაც იშვიათი გამონაკლისია ამ პერიოდის ქალაქური საცხოვრისისთვის.







სამწუხაროდ, ამ საინტერესო შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი განსხვავებით ბადიაურის ქუჩის №23-სგან, რომელიც ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობად იყო რეგისტრირებული, ბევრად ნაკლები ღირებულების მიუხედავად.



საკვლევ არეალში გარდა ამ ორი შენობისა, საინტერესო ნაგებობები შემორჩენილი არ არის, თუმცა, თვალსაჩინოა, რომ მიკროუბნის განაშენიანებაში შეუელესავი აგურის ფაქტურა პრივალირებს.

ბადიაურის ქუჩაზე და მის მიმდებარედ უკანასკნელ პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალმშენებლობები, განსაკუთრებით შეცვალა მიკროუბნის ურბანული მდგომარეობა ყოფილი „სანახების“ ადგილას განხორციელებულმა მსხვილმასშტაბიანმა, მრავალფუნქციურმა პროექტმა - ავტ. მ. ბალიაშვილი.



თანდათანობით ხდება ბადიაურისა და მიმდებარე ქუჩების არაღირებული საცხოვრისების ჩანაცვლება თანამედროვე ცხოვრების სტანდარტებთან შესაფერისი ნაგებობებით, ამასთან განაშენიანების სიმაღლე 1-2 სართულიდან 3-4 სართულამდე მატულობს.



უშუალოდ საკვლევი ობიექტი, ბადიაურის ქუჩა №2, რურალური ტიპის განაშენიანების ნაწილია, რომელიც ერთსართულიან დაფერდებულ სახურავქვეშ მოქცეულ უსახურ ნაგებობას წარმოდგენს. სახლი ავარიულია და არსებობს მისი ჩამონგრევის რეალური საშიშროება.







ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურული მახასიათებლებიდან მნიშვნელოვანია მისი ქუჩისკენ მთავარი ფასადით მიმართული მდებარეობა, შეულესავი აგურის ფაქტურა, როგორც თავად შენობაზე, ასევე მიმდებარე განაშენიანებაში და ეზოს მხარეს მიმართული ნაწილის გადაწყვეტა ხის გალერეა-შუშაბანდების სახით.





დასკვნა-რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიაზე, ბადიაურის ქ. №2-ში არსებული ერთსართულიანი შენობა არ წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას და არ გააჩნია არქიტექტურული ღირებულება. ამასთან უკიდურესად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი ჩანაცვლება ახალი მოცულობით შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ახალმშენებლობამ უნდა გააჯანსაღოს დეგრადირებული ურბანული ქსოვილი;
- სასურველია ახალი მოცულობა ფონური ხასიათის იყოს და არ დაუპირისპირდეს ისტორიული განაშენიანების არსებულ მორფოლოგიას, მასშტაბს თუ არქიტექტურულ მახასიათებლებს;
- საპროექტო ობიექტის სიმაღლე უნდა განისაზღვროს ქალაქის ამ ნაწილში მოქმედი კოეფიციენტის გათვალისწინებით და მიწის ნაკვეთის განაშენიანების შესაძლებლობის მიხედვით, ბადიაურის ქუჩის მიმდებარედ უკანასკნელ პერიოდში დამტკიცებული პროექტების შესაბამისად (კვეზერელ-კოპაძის ქუჩა №29) შესაძლებლად მიმაჩნია სამსართულიანი მოცულობის განხორციელება.
- ახალი ნაგებობის არქიტექტურული სახის შექმნისას სასურველია ვიზუალურად ნაკლებად აქტიური, ნეიტრალური გამომსახველობითი ფორმების მოძიება. მათი მხატვრული სახე, რიტმული დანაწევრება და ფერადოვნება უნდა მიესადაგოს ძველი თბილისის არქიტექტურის ხასიათსა და მხატვრულ მთლიანობას. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია საფასადე მოპირკეთებისას აგურის გამოყენება;
- ნაგებობის გადახურვა სასურველია ჟანგისფერი თუნუქის ფაქტურის დაფერდებული სახურავით. ასევე მისაღებია აგურისფერი ფილებით დაფარული ბანური ტიპის გადახურვა.

- ეზოს ნაწილი შესაძლებელია გადაწყდეს ძველთბილისური შუშაბანდების პრინციპით – თანამედროვე საშენი მასალის გამოყენებით;
- მნიშვნელოვანია, რომ ახალ ობიექტს არ ჰქონდეს ფსევდოისტორიული ხასიათი, არამედ თანამედროვე არქიტექტურული ხერხებით პასუხობდეს ისტორიული განაშენიანების კონტექსტს.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი